ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 55

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 27 თებერვალი 2018 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში -,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB033001002001650 22 – (შემდგომში - ,,შემსყიდველი")

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორე მხრივ: მ/მ „სოფიო ლალიაშვილი" ს/კ 16001007933 მისამართი დუშეთი, სტალინის ქ. 52 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE77LB0112175474524001 –(შემდგომში ,,მიმწოდებელი")

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: დუშეთის მუნიციპალიტეტის ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულის არხოტის ხეობის სოფლებისათვის პირველადი მოხმარების საგნებისა და საკვები პროდუქტების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (თანდართული ინვოისის შესაბამისად).

3.2 დაფინანსების წყარო: დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს: 1 466 (ერთი ათას ოთხას სამოცდაექვსი) ლარს. მათ შორის:

- CPV 15612120 430 ლარი; (ფქვილი თეთრი)
- CPV 15872400 60 ლარი; (მარილი(საჭმელი)
- CPV 15872400 150 ლარი ; (მარილი)
- CPV 15831000 420 ლარი;(შაქარი)
- CPV 33711900 80 ლარი; (ხელის საპონი)
- CPV 33711900 128 ლარი; (სარეცხის საპონი)
- CPV 39831200 198 ლარი;(სარეცხის ფხვნილი)

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს: ინვოისის შესაბამისად.

ბ) საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: დუშეთი რუსთაველის ქ. 27.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება.
5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.
5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო- ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 შემსყიდველი შეძენამდე ამოწმებს ვიზუალურად და ტექნიკურად საქონელს და არავითარი პრეტენზია არ გააჩნია საქონლის მდგომარეობაში.
8.2 შემსყიდველი თანახმაა შეიძინოს საქონელი არსებულ მდგომარეობაში.
8.3 მიმწოდებელი პასუხს არ აგებს საქონლის გადაცემის შემდგომ ექსპლუატაციაში გამოვლენილ ხარვეზებზე ან დეფექტებზე.
8.4 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.2 პუნქტის გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა– 2018 წლის 07 აპრილი;
(რიცხვი, თვე, წელი)

18.2 საქონლის მიწოდების ვადაა –2018 წლის 07 მარტის ჩათვლით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი : /ზ. სეხნიაშვილი/

მიმწოდებელი

მ/მ სოფიო ლალიაშვილი: /ს. ლალიაშვილი/

იურისტი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990177008737618

26 / თებერვალი / 2018 წ.

№ 439/ს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

გ რ ძ ა ნ ე ბ ა

არხოტის ხეობაში დიდთოვლობის შედეგად დარჩენილი ოჯახების დახმარების მიზნით დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

არხოტის ხეობაში დიდთოვლობის შედეგად დარჩენილი ოჯახები ვერ ახერხებენ პირველადი მოხმარების საგნების და საკვები პროდუქტების გადატანას. მერის წარმომადგენლის მზექალა არაბულის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის შესაბამისად აუცილებელია არხოტის ხეობაში დარჩენილი ოჯახებს გაეწიოთ დახმარება პირველადი მოხმარების საგნების და საკვებით უზრუნველყოფის მიზნით (ფქვილი, შაქარი, მარილი, ხაორი, სარეცხის ფხვნილი და სხვა).

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილია პირველადი მოხმარების საგნების და საკვები პროდუქტების შესყიდვის ინვოისი ღირებულებით 1466 ლარი.

„ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. არხოტის ხეობაში მცხოვრები ოჯახებისათვის პირველადი მოხმარების საგნების და საკვები პროდუქტების შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 1466 ლარი;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ.ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. შაბურიშვილი) უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება და თანხის გადარიცხვა;
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

ზურაბ სეხნიაშვილი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

KA990193052295818

23 / თებერვალი / 2018 წ.

296/08

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ ზურაბ სეხნიაშვილს
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის
საძეურნეო-ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გია ჭონქაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ აწლის 20 თებერვალს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული N 954 წერილის საფუძველზე,სადაც დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ბარისახის ადმინისტრაციულ ერთეულში ითხოვს არხოტის ხეობის სოფლებისთვის საყოფაცხოვრებო და სასიტყვიერო საქონლით დახმარებას. წარმოგიდგენთ ინვოისს და გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოამზადონ ხელშეკრულება.

გია ჭონქაძე

საძეურნეო-ტექნიკური განყოფილების მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

თბილისი, 20.08.2

მპმ „ხიდი ლაღობილი"

ს/კ 16001007933

მ.ბ.ხ. ლიზეანი ბაბუ

ს/კ LBRTGE22

GE77LB0112175474524001

ხაზინის ერთ.N52

დოკუმენტის ბენეფიციარი/ბენ.

ბანკი

ბიზნეს ალიანსი - N27

ს/კ 22932445

კოდი	საქონლის/მომსახ.	ოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
	1. ფქვილი (ალეური)	10-ტომარა	43-ლარი	430-ლარი
	2. ძაძიანი (ბაჭიკელი)	3-ბუნკერი(60ც)	20-ლარი	60-ლარი
	3. ცხიმი	10-ლიტრი	15-ლარი	150-ლარი
	4. შაბანი	10-ტომარა(25 კგ)	42-ლარი	420-ლარი
	5. ხიდის ხაიანი	10-ბუნკერი	8-ლარი	80-ლარი
	6. საინკასო საკომისიო 22%	2-ფული (64ც)	64-ლარი	128-ლარი
	7. საინკასო ფულადი	3-ფული (36ც.)	60-ლარი	108-ლარი
				1466-ლარი

სულ ჯამი:

მპმ „ხიდი ლაღობილი" ხელმძღვ.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დუშეთი 27.02.2018 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და (ხელშეკრულება N 55 27.02.2018 წ.) მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შემსყიდველის მხრიდან ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი :

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სამეურნეო –ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი : / გ. ჭონქაძე/

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის
წარმომადგენელი ბარისახოს ადმ. ერთეულში : /მ. არაბული/